ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 156

ქალაქი ქუთაისი 26 დეკემბერი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის წევრის, ბექა ქებულაძის კანდიდატურის შეყვანის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის მე–6 პუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 96-ე მუხლისა და 102-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე:

მუხლი 1. ჩატარდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარის არჩევნები ფარული კენჭისყრით.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში შეყვანილ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის წევრის, ბექა ქებულაძის კანდიდატურა.

მუხლი 3. ფარული კენჭისყრა გაიმართოს ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირის №3–ში არსებული შენობის მე–2 სართულზე არსებულ სხდომათა დარბაზში.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ——— ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. № 157